## ? რა არის მოსახლეობის ფორუმი

**მოსახლეობის ფორუმი** სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მაღალეფექტური მეთოდია, პიროვნული ინიციატივების, პასუხისმგებლობათა გადანაწილების და ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების ორგანიზაციული უნარების გაძლიერების საშუალებით.

**მოსახლეობის ფორუმის** მიზანია სამიზნე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფების მხარდაჭერა, ადგილობრივი თემის სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით. **მოსახლეობის ფორუმი** ხელს უწყობს ადგილობრივ მთავრობასა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობას, პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ ღია დიალოგის გამართვას და გადაწყვეტილების მიღებაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას.

**მოსახლეობის ფორუმი** აერთიანებს მოსახლეობას ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტისთვის. ისინი აკუმულირებას უკეთებენ ადგილობრივ რესურსებს დასახული მიზნების მისაღწევად.

### რა არის თვითმმართველობის ინტერესი მოსახლეობის ფორუმის პროცესში?

- ✓ მიღწეული იქნას საზოგადოების თანამონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის და/ან პრობლემების გადასაწყვეტად;
- ✓ მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების მოთხოვნების და საჭიროებების შესახებ;
- ✓ განავითაროს თანამშრომლობა არასამთავრობო და კერძო სექტორთან, ამ გზით მოიზიდოს დამატებითი რესურსები (ფულით, "მარცვლეულით", ადამიანური რესურსებით) ადგილობრივი განვითარებისთვის.

### რა არის მოხლეობის ინტერესი ფორუმში მონაწილეობისთვის?

- ✓ შეიტანოს წვლილი საკუთარი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებაში, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომელთა გადაჭრა არ/ვერ ხდება თვითმართველობის მიერ;
- ✓ წინ წამოწიოს პრობლემები, რომელიც მის თემს აწუხებს და შესთავაზოს მთავრობას ინოვაციური, შემოქმედებითი, არასტანდარტული მიდგომები დასმული პრობლემების გადასაჭრელად;
- ✓ ჩაერთოს ფორუმის ორგანიზებაში და მონაწილეობა მიიღოს პროცესის ყველა ეტაპზე.

## ? როგორ უნდა შევარჩიო მოსახლეობის ფორუმის მონაწილეები

მოსახლეობის ფორუმის მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა 100–120 პირს უნდა შეადგენდეს. ფორუმის სამუშაო სფეროების/თემების შესაბამისად განსაზღვრეთ მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები. შეეცადეთ, რომ მონაწილეთა შემადგენლობა იყოს მრავალფეროვანი და ისინი წარმოადგენდნენ ქალაქის ყველა უბანს, ტერიტორულ ერთეულს.

მაგალითად, მონაწილეთა შერჩევის სამიზნე ჯგუფებად შეიძლება განსაზღვროთ: პენსიონერები/ასაკოვანი პირები; ახალგაზრდები; სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები; იძულებით გადაადგილებული პირები (კერძო სექტორში და კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრები); სოციალურად დაუცველი პირები; სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები; პარლამენტარები; სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები; ბიზნეს სექტორში დასაქმებულები; სკოლამდელი საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები (თანამშრომლები, მასწავლებლები, მშობლები); სტუდენტები; დაოჯახებულები; დასაოჯახებლები; ახალგაზრდა მშობლები; უმუშევრები; დიასახლისები; მრავალშვილიანი დედები, ხანდაზმულები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმომადგენლები; მედიის წარმომადგენლები და სხვა.

## ? როგორ დავგეგმო მოსახლეობის ფორუმი

მოსახლეობის ფორუმი **სამი** მთავარი ეტაპისაგან შედგება:

I. **მოსამზადებელი სამუშაო**

II. **მოსახლეობის ფორუმის მსვლელობა**

III. **შედეგების დოკუმენტის მომზადება და ანგარიშგება მოსახლეობასთან**

**<u>I ეტაპი</u> – მოსამზადებელი სამუშაო**

- შექმენით ფორუმის საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხის მოგვარებაზე
- შეადგინეთ განსახორციელებელი საქმიანობების დეტალური გეგმა, განსაზღვრეთ თითოეული საქმიანობების განხორციელების ვადა და პასუხისმგებელი პირი საორგანიზაციო ჯგუფიდან
- ქალაქის მერთან შეთანხმებით განსაზღვრეთ ფორუმის სამუშაო სფერო(ები);
- განსაზღვრეთ მოსახლეობის ფორუმის ჩატარების დღე, დრო და ადგილი
- შეისწავლეთ ფორუმის ჩატარებისთვის გამოყოფილი ადგილი წინასწარ და წარმოიდგინეთ სამუშაო პროცესი ფორუმის დღის წესრიგის შესაბამისად

- მოიძიეთ მოსახლეობის ფორუმის ორგანიზებისთვის საჭირო რესურსები, როგორიცაა: საკანცელარიო მასალები, ტენიკა, კვების ხარჯი, სატრანსპორტო საშუალებები ბენეფიციართა ორგანიზებული გადაადგილებისთვის და სხვა.
- შეიმუშავეთ მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები და განსაზღვრეთ როგორ მოახდენთ მათ ინფორმირებულობას ღონისძიებაზე დასწრებასთან დაკავშირებით
- შეარჩიეთ ფასილიტატორები და ჩაუტარეთ მათ ინსტრუქტაჟი ფორუმის მსვლელობის და მათი ფუნქციების შესახებ
- განსაზღვრეთ ვინ გაუწევს კოორდინაციას საორგანიზაციო საკითხების შესრულებას და ვინ წაიყვანს მოსახლეობის ფორუმის ღონისძიებას
- მოამზადეთ საჭირო მასალები: დაფა, ფლიფჩარტის სრული შეკვრა (თითოეულ გვერდზე მიწერილი ინსტრუქციებით), ხმის მიცემისთვის ფერადი ფურცლები, პასტები, ფურცლები, ქაღალდის სკოჩი, ფლიფჩარტის მარკერები ცალი სხვადასხვა ფერის (შავი, ლურჯი), მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცლები თითოეული მცირე ჯგუფისთვის (თავზე სამუშაო სფეროს მითითებით), ბეიჯები ფასილიტატორებისთვის. მონაწილეთათვის გადასაცემი საინფორმაციო მასალა ღონისძიების შესახებ ფლაერი, ინსტრუქციები მცირე ჯგუფში მუშაობისთვის.
- განსაზღვრეთ ვინ იქნებიან ფორუმის სტუმრები და მოიწვიეთ ისინი

**<u>II ეტაპი</u> – მოსახლეობის ფორუმის მსვლელობა**

მოსახლეობის ფორუმი ერთ დღიანი ღონისძიებაა, რომელიც დაახლოებით 4-5 საათს გრძელდება. მასში ერთდოულად მონაწილეობს 100–120 პირი, რომლებიც პარალელურ რეჟიმში მუშაობენ 8–10 კაციან მცირე ჯგუფებში.

მოსახლეობის ფორუმის დღის წესრიგი შემდეგია:

- მონაწილეთა რეგისტრაცია – 30 წთ
- მისალმება, ფორუმის გახსნა, დღის წესრიგის წარდგენა– 10 წთ
- მცირე ჯგუფებში მუშაობა სამიზნე სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთის მიზნით – 70 წთ
- 5 აქტუალური თემის/პრიორიტეტული პრობლემის შერჩევა – 10 წთ
- კენჭის ყრა ერთი მთავარი პრობლემის ასარჩევად – 10 წთ (კენჭის ყრის პროცესში მონაწილეობს ფორუმის ყველა მონაწილე)
- შესვენება სადილზე – 20 წთ
- საპროექტო იდეების, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით მცირე ჯგუფებში მუშაობის გაგრძელება – 90 წთ
- საპროექტო იდეების, წინადადებების პრეზენტაცია – 50 წთ
- ფორუმის შედეგების შეჯამება, ღონისძიების დახურვა – 10 წთ

ფორუმს უნდა ჰყავდეს წამყვანი, რომელიც მოცემული დღის წესრიგის შესაბამისად მიჰყავს ღონისძიება.

ჯგუფები, მუშაობის პირველ ეტაპზე განსაზღვრავენ სფეროს შესაბამისად, ქალაქში, თემში არსებულ პრობლემებს ქალაქის, თემის სპეციფიკის გათვალისწინებით და ხმის მიცემის წესით ირჩევენ 5 პრიორიტეტულს დასახელებული აქტუალური თემებიდან (პრობლემებიდან), რომელთა პრეზენტაციის შემდეგ, ფორუმის მონაწილეები ხმის მიცემით ირჩევენ თითოეული სფეროდან მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან **ერთს.** მეორე ეტაპზე სამუშაო ჯგუფები მუშაობენ კონკრეტული ერთი აქტუალურ თემაზე (პრობლემისგადაჭრის გზებზე). თითოეული მცირე ჯგუფის მუშაობას უძღვება ორი ფასილიტატორი.

**ინსტრუქციები ფასილიტატორებისთვის მოსახლეობის ფორუმის მონაწილეთა მართვისთვის:**

**წარდგენა, ჯგუფის „გახსნა“** – მცირე ჯგუფებში მუშაობის დაწყებამდე გაეცანით ჯგუფს, მოკლედ გააცანით ფორუმის მიზანი და დღის სამუშაო განრიგი, მიეცით ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი თავი. შესთავაზეთ ჯგუფს მუშაობის წესების განსაზღვრა და დაადგინეთ მუშაობის რამდენიმე მნიშვნელოვანი წესი (მაგალითად: იყონ მოკრძალებულები და თავაზიანები; ილაპარაკონ სათითაოდ; სხვას მისცენ აზრის გამოთქმის საშუალება, არ შეაწყვეტიონ (ეს არ ეხება ფასილიტატორს, მას უფლება აქვს გააჩეროს მოსაუბრე, იმ შემთხვევაში თუ ის გადაუხვევს თემიდან); არ გააკრიტიკონ სხვისი აზრი; ყურადღება შეაჩერონ მოცემულ თემაზე, არ გამართონ პერსონალური დისკუსია; ითანამშრომლონ ერთმანეთთან ერთმანეთის აზრის, გამოთქმული იდეების შევსების და განვითარების მიზნით; აზრი გამოთქვან მოკლედ და კონკრეტულად; თვალყური ადევნონ, სწორად ასახავს თუ არა „ჩამწერი“ ქაღალდზე მათ მიერ დაფიქსირებულ აზრებს), რომელსაც სამუშაო დღის განმავლობაში დაიცავენ ჯგუფის წევრები. თხოვეთ აირჩიონ პრეზენტატორი რომელიც წარადგენს ჯგუფის ნამუშევარს. მკაცრად აკონტროლეთ თითოეული აქტივობისთვის დღის წესრიგით განსაზღვრული დრო.

**სამუშაო თემის გაცნობა**: წარუდგინეთ ჯგუფს სამუშაო სფერო/თემა და გამართეთ მოკლე დისკუსია იმის შესახებ, თუ რა მოიაზრება კოკრეტული სფეროს შინაარსში, რას გულისხმობს იგი. განიხილეთ თემა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების ჭრილში.

დაასახელეთ თემა და დაიწყეთ მასთან დაკავშირებული კითხვების დასმა. განსაზღვრეთ:

- **ძლიერი მხარეები** (არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, კონკრეტულ სფეროსთან მიმართებაში დღეს ჩვენს ქალაქში რა ძლიერი მხარეებია)
- **სუსტი მხარეები** (აუცილებელი ცვლილებები/პრობლემები)

**აქტუალური თემების (მთავარი პრობლემური საკითხების) გამოკვეთა** – „ტვინის შტურმის“ მეთოდით განისაზღვრეთ ქალაქში, თემში არსებული აქტუალური თემები, რომლების მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს.

მოკლეთ განმარტეთ, როგორ ხდება „ტვინის შტურმი”, რომ ეს არის ახალი იდეების გენერირების პროცესი და არა კრიტიკის. თხოვეთ ჯგუფს განახორციელონ „ტვინის შტურმი“ თემის ირგვლივ. არ დაუშვათ თემიდან გადახვევა, მაგ. მონაწილეებს შეიძლება გაუჩნდეთ იდეები პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით, მაგრამ „შეაჩერეთ” ისინი და დაუბრუნდით სამიზნე თემას.

„ტვინის შტურმის“ პროცესის დასრულების შემდეგ, დადეთ მარკერი, თხოვეთ მონაწილეებს კიდევ ერთხელ გადაავლონ თვალი ჩამონათვალს და განსაზღვრონ საერთო ტენდენციები, ან თემები, რომლებიც მეორდება. ჯგუფთან ერთად იმუშავეთ, რომ საბოლოოდ შეთანხმებულად განისაზღვროს 5 ყველაზე აქტუალური თემა (პრიორიტეტული პრობლემა), რომელსაც წარუდგენთ მოსახლეობის ფორუმის დიდ ჯგუფს, სადაც ისინი კენჭის ყრის პრინციპით აირჩევენ ერთ ყველა პრიორიტეტულს. განუმარტეთ ჯგუფის წევრებს, რომ საერთო ჯგუფის მიერ შერჩეულ პრიორიტეტულ თემაზე მათ მოუწევთ საპროექტო იდეების, ინიციატივების შემუშავება.

გადაიტანეთ სუფთა ფლიფჩარტზე შერჩეული 5 აქტუალური თემა (პრიორიტეტული პრობლემა) და მოემზადეთ ჯგუფი მათი პრეზენტაციისთვის.

**საპროექტო იდეების, ინიციატივების შემუშავება**

პროცესს იწყებთ აუცილებელი ცვლილებების განსაზღვრით, რომლებიც შერჩეულ აქტუალურ თემას (პრობლემას) უკავშირდება. შეთავაზეთ ჯგუფს განსაზღვრონ რეალისტური მიზნები, რომლებიც პრობლემის გადაჭრას ემსახურება.

თხოვეთ ჯგუფს საპროექტო იდეის/ინიციატივების შემუშავების პროცესში განიხილოთ შემდეგი საკითხები:

- შერჩეული თემა/პრობლემის აღწერა
- მიზანი
- განხორციელების გზები
- მოსალოდნელი შედეგები
- საჭირო რესურსები
- განმხორციელებლები
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დრო და ადგილი:
- პასუხისმგებელი პირი, მისი საკონტაქტო ინფორმაცია

გააკეთეთ ჩანაწერები დამხმარე ფლიფჩარტის შესაბამის ფურცელზე. სტიმულირება გაუწიეთ, რომ იაზროვნონ ფართოდ. ფასილიტატორმა ყველა იდეა უნდა დააფიქსიროს ფურცელზე. შეახსენეთ მონაწილეებს, რომ გაითვალისწინონ ბევრი სხვადასხვა გარემოება, მაგ: ფინანსური, ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა და სხვა.

მუშაობის დასრულებისთანავე განსაზღვრეთ პრეზენტატორი და წარადგინეთ თქვენი საპროექტო იდეა დიდ ჯგუფში. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, ეს როლი შეგიძლიათ იკისროთ თქვენც.

**<u>გახსოვდეთ:</u>**

- ✓ პრობლემურ სიტუაციებში შეახსენეთ „ძირითადი მოთხოვნები”.
- ✓ შეახსენეთ მონაწილეებს, რომ არც ერთი იდეა არსად არ დაიკარგება, თუ ის ჩაწერილი იქნება.
- ✓ ითანამშრომლეთ „ჩამწერთან“!
- ✓ თუ თქვენ თვითონ გაგაჩნიათ რაიმე მოსაზრება, რომელიც გსურთ გამოთქვათ, აღნიშნეთ, რომ ლაპარაკობთ ჩვეულებრივი მოქალაქეს პოზიციიდან და არა, როგორც ჯგუფის ფასილიტატორი.
- ✓ ყველას შეთავაზეთ გამოთქვას საკუთარი აზრი! მიმართეთ კითხვით: „თქვენ როგორ ფიქრობთ?”
- ✓ ყურადღება მიაქციეთ დროს!
- ✓ ყურადღებით იყავით, რომ ყველა დავალება სრულყოფილად შესრულდეს.
- ✓ გულითადი მადლობა გადაუხადეთ ჯგუფს მუშაობისთვის, ასევე მუშაობის მსვლელობის დროს მაქსიმალურად გამოხატეთ მადლიერება მათ მიერ მოწოდებული ნებისმიერი აზრისთვის!

**<u>III ეტაპი</u> – შედეგების დოკუმენტის მომზადება და ანგარიშგება მოსახლეობასთან**

- შეიმუშავეთ მცირე ჯგუფებში მუშაობის განრიგი ისე რომ მოიცვათ ყველა თემა, რომელიც ფორუმის მსვლელობისას გამოიკვეთა. შესაძლებელია მონათესავე თემებზე მომუშავე ჯგუფების გაერთიანება
- დაუკავშირდით ფორუმის მსვლელობისას მცირე ჯგუფებში განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებს, მოიწვიეთ სამუშაო შეხვედრაზე და თხოვეთ უზრუნველყონ თავიანთი ჯგუფის წევრების ინფორმირება და სამუშაო შეხვედრაზე მოწვევა
- წინასწარ კარგად შეისწავლეთ ჯგუფების მიერ შემუშავებული მასალები, მოამზადეთ სამუშაო დოკუმენტი
- მკაცრად განსაზღვრეთ შეხვედრის დროითი ჩარჩო და მუშაობის წესები
- წინასწარ მოინიშნეთ საკითხები, რომლებზეც განსაკუთრებულ ყურაღებას გაამახვილებთ
- იყავით ნეიტრალური, დასვით შეკითხვები მეტი ინფორმაციის მისაღებად (მტკიცებულება, ფაქტები)
- თხოვეთ ჯგუფის წევრებს მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები თავიანთი წინადადებების მხარდასაჭერად
- გამოიყენეთ სტატისტიკა, მისამართები, დაწესებულებების სახელები ფაქტების გასამყარებლად
- ყურადღება მიაქციეთ ანგარიშის ფორმატირებას და ენას
- მოამზადეთ საბოლოო დოკუმენტი მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე

– განსაზღვრეთ როგორი ფორმით მოახდენთ ქალაქის თვითმმართველობისთვის მიწოდებული რეკომენდაციების დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგს და განხორციელებული ცვლილებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას

## ? როგორია რეკომენდაციების დოკუმენტის სტრუქტურა

- ✓ **შესავალი** – მოკლედ დოკუმენტის შესახებ
- ✓ **მონაწილეების აღწერა** (სტატისტიკა, სპეციფიკური მახასიათებლები)
- ✓ **სამუშაო მეთოდოლოგიის აღწერა**
- ✓ **მცირე ჯგუფების ნამუშევრების შეჯამება**
- ✓ **გამოკვეთილი პრიორიტეტების აღწერა**
- ✓ **თითოეული გამოკვეთილი პრობლემის გადაწყვეტის გზა:**
    - პრობლემა #1:
        - შეთავაზებული გადაჭრის გზა
    - პრობლემა #2:
        - შეთავაზებული გადაჭრის გზა
    - პრობლემა #3:
        - ....
- ✓ **დასკვნა/შეჯამება**